ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

ა(ა)იპ - საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის „საზოგადოება ცოდნა“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: დიანა გახარია
წევრები:
ინგა ბაქრაძე
მარიამ ფიცხელაური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ - საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის „საზოგადოება ცოდნა“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 203844242

სახე:

- [ ] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული კოლეჯი
- [√] საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 14 თებერვლის N104 ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ - საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის „საზოგადოება ცოდნის“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტით იმყოფებოდა დაწესებულებაში 2018 წლის 5, 6 და 7 მარტს, რომელსაც სურს „ბუღალტრული აღრიცხვის“ მეხუთე საფეხურის და „ფარმაცევტის თანაშემწის“ მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

ექსპერტებმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მაძიებლის (შემდგომში კოლეჯი/დაწესებულება) დირექტორის 2018 წლის 5 მარტის N5 ბრძანებით ექსპერტთა ჯგუფთან პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომელმაც ექსპერტებს წარუდგინა ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაცია, გასცა პასუხები მათ მიერ დასმულ შეკითხვებს და უზრუნველყო (სხვა თანამშრომლებთან ერთად) ექსპერტებისთვის, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესასწავლად, შეუფერხებლად მუშაობისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, მათ შორის მოდულების განმახორციელებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს ორგანიზება. ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებმა მოისმინეს ექსპერტების მუშაობის შედეგები და მიეცათ რეკომენდაციები. აღსანიშნავია, თანამშრომელთა დადებითი მიდგომა ცვლილებებისა და კორექტივების განსახორციელებლად.

მდგომარეობა	სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	ფართი	მისამართების რაოდენობა და მდებარეობა
ახალი	48	2	15	489 კვ.მ.	ქ. თბილისი მ. კოსტავას 47/57

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	√	
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	√	
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	√	
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	√	
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	√	
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	√	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

	განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები			
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	√	
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	√	
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	√	
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	√	
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	√	
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	√	
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	√	
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	√	
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	√	
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	√	
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	√	
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	√	
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	√	
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	√	
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	√	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	√	
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	√	
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	√	
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	√	
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	√	
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	√	

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ექსპერტთა შეფასებით არ გამოვლენილა

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ექსპერტთა შეფასებით არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1.2 ქვესტანდარტი

უმჯობესია, კატალოგი იქნეს დასურათებული და იყოს გამახვილებული ყურადღება დაწესებულების უპირატესობების შესახებ, დატანილ იქნეს პროგრამების ღირებულება (რომელიც დებულების 35-ე მუხლის თანახმად განსაზღვრულია დირექტორის 2018 წლის 10 იანვრის N4 ბრძანებით) და ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ.

სასურველია კატალოგში გაკეთდეს ჩანაწერი კოლეჯის მიერ აღნიშნული პროგრამების განხორციელების შესახებ როგორც დაწესებულების მიზანი.

1.4 ქვესტანდარტი

სასურველია გაიწეროს სტუდენტისთვის მიცემული განმსაზღვრელი შეფასების შედეგად მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგის/შედეგების დამატებითი შეფასების ვადა.

დაზუსტდეს, რა იგულისხმება ჩანაწერში - „კოლეჯისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება“, დაწესებულების დებულების 38.1 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დებულების და შიდა სამართლებრივი აქტების განზრახ უხეში დარღვევის შემთხვევაში.

2.3 ქვესტანდარტი

სასურველია, მოხდეს მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის განახლება (ახალი გამოცემებით ჩანაცვლება) და გამდიდრებაზე ზრუნვა. ასევე, განმარტებულ იქნეს თუ რა პასუხისმგებლობის ზომა გამოიყენება წიგნის დაგვიანებით დაბრუნების შემთხვევაში.

2.5 ქვესტანდარტი

დებულებაში გაიწეროს შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი საფუძვლები ან ხელშეკრულებიდან იქნას ამოღებული ინფორმაცია დებულებაში აღნიშნულის არსებობის შესახებ. თანამშრომლის მიერ გაუფრთხილებლად დაგვიანების ან გაცდენის შემთხვევაში გაკეთდეს ჩამონათვალი რა ზომები იქნება მიღებული; დებულება შეიცავდეს ინფორმაციას სამუშაო საათების შესახებ (მინიმუმ დასაწყისი და შესვენების პერიოდი, იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულებაში აღნიშნულია დაგვიანების შესახებ - 2.3.2 ქვეპუნქტი).

გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: აქტის გამოცემის ლეგიტიმური საფუძვლის არსებობის შესახებ (წარდგინება, სამსახურებრივი ბარათი/მოხსენებითი ბარათი/ოფიციალური წერილი) და ბრძანებით გათვალისწინებული კონკრეტული მოქმედებების შესრულების ვადების შესახებ.

შრომითი ხელშეკრულებები დაინომროს და გატარდეს შესაბამის ჟურნალში; მოწვეულ მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება სასურველია შეიცავდეს მინიმუმ განსახორციელებელი პროგრამის დასახელებას და დამსაქმებლის იურიდულ/ფაქტობრივ მისამართებს და სხვა საკონტაქტო მონაცემებს.

მოხდეს კოლეჯის შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვა და სარეგისტრაციო ჟურნალში გატარება დაწესებულების მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების წესის 3.1 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად.

2.7 ქვესტანდარტი

სასურველია სსსმ პირთა ჩარიცხვის შემთხვევაში კოლეჯმა უზრუნველყოს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი/ასისტენტის დანიშვნა, რომელიც არა მარტო გადაადგილებაში დაეხმარება შშმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

სტუდენტებს, არამედ განმახორციელებლებთან ერთად ჩართული იქნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (მოდიფიცირებული/აკომოდირებული) შედგენის პროცესში და იმუშავებს სსსმ სტუდენტთან ინდივიდუალურად.

2.8 ქვესტანდარტი

გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯი ავტორიზაციის მაძიებელია, მოკლებულია ვებ გვერდზე მდიდარი გამოცდილების წარმოჩენის საშუალებას (ჩატარებული/დაგეგმილი ღონისძიებების/პროექტების არქივი, სიახლეები, სტუდენტური ცხოვრების ამსახველი ფოტო და ვიდეო გალერეა...). შესაბამისად, შესაძლებელია ვებ გვერდი დაიტვირთოს მხოლოდ მის ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული და მნიშვნელოვანი ინფორმაციით და სათანადო რეგულაციებით (პროფესიული სტანდარტები, ჩარჩო დოკუმენტები), დაწესებულების გრძელვადიანი ან/და მოკლევადიანი გეგმებით ან მისი ნაწილით. უმჯობესი იქნებოდა ვებ გვერდი იძლეოდეს წარმოდგენას კოლეჯის ინფრასტრუქტურის შესახებ და მოცემული იყოს პარტნიორი ორგანიზაციების მინიმუმ ჩამონათვალი, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და სტუდენტისთვის თუ აპლიკანტისთვის საინტერესო სხვა ინფორმაცია (მაგალითად დაემატოს დებულებიდან ამონარიდი ჩარიცხვის წესი და სწავლების პირობები).

3.2 ქვესტანდარტი

მოდულური პროგრამების წარმატებით განხორციელების მიზნით, აუცილებელია ჩატარდეს მასწავლებლებისთვის ტრენინგების ციკლი: მოდულური სწავლების პრინციპებისა და მიდგომების უკეთ გასაცნობად (სწავლების პროცესში საწარმოებელ დოკუმენტებთან მუშაობა, შეფასების სისტემის დანერგვა).

რეკომენდაცია მისიასთან დაკავშირებით:

დაწესებულების მისია უნდა იყოს მოკლე, მკაფიო და ასახავდეს დაწესებულების დანიშნულებას და მთავარ მიზანს თუ რას აკეთებს დაწესებულება, ვისთვის და როგორ.

VII. დაწესებულების მისია

- ✓ საზოგადოების, სახელმწიფოსა და ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური, პროფესიონალი სპეციალისტების მომზადება.
- ✓ პრაქტიკოს-სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ცოდნაზე დაფუძნებული თანამედროვე შრომის ბაზრის, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო, მოთხოვნების დაკმაყოფილებას პროფესიული განათლების სფეროში დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.
- ✓ მასწავლებლებისათვის ღირსეული პირობების შექმნა და მათი პროფესიული ზრდის ელშეწყობა;
- ✓ ურთიერთობა დამსაქმებლებთან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ხარისხის გაუმჯობესების მიზნით
- ✓ სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და მუდმივი განახლება;
- ✓ განათლების ხელმისაწვდომობისა და საჯაროობის უზრუნველყოფა, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა;
- ✓ ზრუნვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილების შესახებ

ა(ა)იპ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის „საზოგადოება ცოდნის“ დირექტორის 2017 წლის 6 დეკემბრის N11 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლის 14.3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრული აქვს დირექტორს. შესაბამისად, „ბუღალტრული აღრიცხვის“ მეხუთე საფეხურის და „ფარმაცევტის თანაშემწის“ მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 7 დეკემბრის N12 ბრძანებით.

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მეთოდოლოგიის შესახებ

დირექტორის 2017 წლის 12 დეკემებრის N22 ბრძანებით დამტკიცებულია დაწესებულებაში მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება A, B და C სასწავლო გარემოს გამოყენების სიმძლავრეს და არეგულირებს როგორც დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას (48), ასევე თითოეულ პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას. „ფარმაცევტის თანაშემწის“ პროგრამაზე სტუდენტთა მისაღები რაოდენობა განსაზღვრულია 18, ხოლო „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამაზე - 30 პროფესიული სტუდენტით.

პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ

პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასადასტურებლად დაწესებულება დაეყრდნო ბიზნეს კონსულტაციის ჯგუფის "BCG" მიერ ჩატარებულ შრომის ბაზრის კვლევას (http://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/Shroma/kvleva/33.pdf), რომლის შედეგებშიც 93 მოთხოვნად პროფესიას შორის მოხსენიებულია „ბუღალტერი“ და „ფარმაცევტის თანაშემწე“. ექსპერტთა ჯგუფმა მოიკვლია ინფორმაცია აღნიშნული ორგანიზაციის შესახებ, რომლის ოფიციალურ ვებ გვერდზე დასტურდება მოხსენიებული კვლევის ჩატარების ფაქტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

პროგრამების შემოწმების ანალიზი

დებულების IV თავის მე-19 მუხლის თანახმად, პროფესიულ საგნმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო მე-20 და 21-ე მუხლით განსაზღვრულია პროგრამის შეფასების მიზნები და საშუალებები, ასევე შეფასების შედეგად მასში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობები, რომლის უფლებამოსილებაც განსაზღვრული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს. დამტკიცებული პროგრამის სატიტულო გვერდი მოიცავს ინფორმაციას პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტების, დაწესებულების საკონტაქტო მონაცემებს და პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია სრულად შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ ამავე საკითხებთან.

ორივე პროგრამაში ნათლად ჩანს ქართული ენის მოდულების გავლის პირობები და პროგრამის მოცულობა.

„ფარმაცევტის თანაშემწის“ და „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამების სასწავლო გეგმებს აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა და დაცულია მოდულებით გათვალისწინებული ყველა წინაპირობა. პროფესიული სტუდენტის სრული კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 აკადემიურ საათს.

„ფარმაცევტის თანაშემწის“ პროგრამა მოიცავს დანართებს N1-N28 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სასწავლო გეგმის და პროგრამის შემადგენელი მოდულების სახით. „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამა შედგება დანართებისგან N1-N24, რომელთა შორისაა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო გეგმა, პროგრამის შემადგენელი მოდულები და ე.წ. „მატერიალური ექსელის ბაზა“.

ყველა მოდულის ბოლო გვერდზე ნაჩვენებია განმახორციელებელი პირის სახელი და გვარი, რომელიც ემთხვევა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დანართში შესაბამის მოდულზე მითითებულ პირებს.

„ბუღალტრული აღრიცხვის“ ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით, მოდულების განხორციელების რეკომენდებული თანმიმდევრობაა: „ზოგადი მოდულების პარალელურად გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვის გავლის შემდეგ „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების“ მოდულის სწავლება, ხოლო შემდეგ სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივ მოდულებისა“.

საიდანაც გათვალისწინებულია ზოგადი მოდულებიდან „ინფორმაციული წიგნიერება 2-ის“ და „გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვის“ პარალელურად განხორციელება. დანარჩენი ორი ზოგადი მოდული პირველი წლის სწავლების დასასრულს არის დაგეგმილი, ხოლო „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების“ მოდული მიმდინარეობს სწავლის დაწყებისთანავე.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტები იზიარებენ დაწესებულების მიდგომას მოდულების განხორციელების თანმიმდევრობის შესახებ.

დებულების მე-17 მუხლის 17.11 პუნქტის თანახმად, „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ყველა სწავლის შედეგის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

დადასტურების შემთხვევაში, შესაბამის კვალიფიკაციას ანიჭებს საკვალიფიკაციო საბჭო და გაიცემა პროფესიული დიპლომი". დამტკიცებულ პროგრამებში „პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების" ნაწილში იგივე ინფორმაცია არ იკითხება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საკვალიფიკაციო საბჭო წარმოადგენს პროგრამის დასრულების ეტაპზე, ერთჯერადად შექმნილ ორგანოს, რომელიც ოქმით აფორმებს კვალიფიკაციის მინიჭებას და მისი არსებობა/შექმნა გამოწვეულია დამტკიცებული პროფესიული დიპლომის ფორმაში დატანილი ველის მოთხოვნისამებრ შესავსებად.

პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული მემორანდუმები ძალაშია გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში და ითვალისწინებს ამავე ხანგრძლივობით მოქმედების ვადის გაგრძელების შესაძლებლობას. პარტნიორი ორგანიზაცია იღებს სტუდენტების საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფის და დასაქმების ხელშეწყობის ვალდებულებას, ხოლო თავის მხრივ კოლეჯი იღებს სტუდენტების გაგზავნის და პრაქტიკის მიმდინარეობის შემოწმების ვალდებულებას.

ცენტრში წარმოდგენილი მემორანდუმები არ მოიცავს სტუდენტების მიერ ორგანიზაციის მფლობელობაში არსებულ აღჭურვილობასა და მასალებზე წვდომის და მისი სასწავლო მიზნებისთვის გამოყენების შესაძლებლობის ჩანაწერს. თუმცა დოკუმენტების დედნების შემოწმებისას ექსპერტების ჯგუფს წარედგინა მემორანდუმი დანართი 1-ით „პრაქტიკის ჩატარებისა და განხორციელების პირობების" შესახებ, სადაც მოცემულია ობიექტზე განსახორციელებელი მოდულების სტანდარტული ჩანაწერებიდან ამონარიდი (სწავლის შედეგები, შესრულების კრიტერიუმები) ამავე მოდულების ტექნიკური აღჭურვილობისა და ნედლეულის ჩამონათვალით.
ორგანიზაციებში ვიზიტის შედეგად, ექსპერტებს მიეცათ საშუალება დაეთვალიერებინათ ობიექტების ბაზა და გასაუბრებოდნენ ორგანიზაციის ხელმძღვანელებს (პრაქტიკის ხელმძღვანელების დანიშვნა, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაგეგმილია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ეტაპზე).
„ფარმაცევტის თანაშემწის" პროგრამის შემთხვევაში, ექსპერტებმა მოინახულეს აფთიაქი - შპს 'მთაწმინდა 26", რომელიც მიმდებარე ტერიტორიასთან ერთად იმყოფება რეკონსტრუქციის ეტაპზე. ექსპერტებმა ასევე დაათვალიერეს ბაზარზე 11 წლის გამოცდილების მქონე სააფთიაქო ქსელის შპს „ნეორფამი+" ერთერთი ფილიალი, შეხვდნენ ქსელის დირექტორს, რომელმაც ინტერვიუს დროს, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომაზე დაყრდნობით, გამოთქვა სტუდენტებისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გასავითარებლად ჩასატარებელი სამუშაოების განხორციელების სრული მზადყოფნა და აღნიშნა, რომ სტუდენტებს, ქსელის თბილისის მასშტაბით 26 სხვადასხვა ფილიალის (სტუდენტებისთვის მოხდება ტერიტორიული ხელშეწყობა) გათვალისწინებით, თითოეულ ობიექტზე 2-3 სტუდენტის მიღების შემთხვევაში (ორ ცვლაში ორმაგი რაოდენობით) მიეცემათ პრაქტიკული კომპონენტის სრულყოფილად გავლის საშუალება და ექნებათ საჭირო აღჭურვილობასა და მასალაზე წვდომა, ისევე როგორც შესაბამის პროგრამაში მუშაობის შესაძლებლობა. დირექტორმა, რომელიც ამავდროულად ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას და იცნობს ბიზნესისა და განათლების სფეროს ურთიერთკავშირის მნიშვნელობას, ისაუბრა მისი ორგანიზაციის მუშაობის პრინციპებზე, ხაზი გაუსვა ქსელის გამოცდილებას, როგორც მისი ძირითადი, ასევე საგანმანათლებლო საქმიანობის და მისი ხელშეწყობის საკითხებში (სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის 100-მდე სტუდენტის სტაჟირებით უზრუნველყოფა). დირექტორი სტუდენტებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

თბილისი, 2018

განიხილავს როგორც მომავალ თანამშრომლებს, უშუალოდ მონახულებული ფილიალის მენეჯერი კი (თითოეულ ფილიალზე გამოყოფილი იქნება მაგისტრის ხარისხის მქონე პასუხისმგებელი ფარმაცევტი) აცხადებს მზადყოფნას სტუდენტების სფეროში გათვითცნობიერების უზრუნველსაყოფად, რისთვისაც არ გამორიცხავს სწავლის შედეგების რიგითობის შეცვლას აფთიაქის ყოველდღიური საქმიანობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე. პროგრამის ხელმძღვანელი ადასტურებს მოდულების წინაპირობების მოცემულ ვერსიას და პრაქტიკული და თეორიული ნაწილის თანაფარდობის მიზანშეწონილობას. ექსპერტების მოსაზრებით, აღნიშნული ობიექტი იძლევა წარმოდგენილი პროგრამის შემადგენელი მოდულების პრაქტიკული ნაწილის სრულად და შეუფერხებლად განხორციელებას საშუალებას.

ექსპერტებმა ვიზიტი განახორციელეს „ბუღალტრული აღრიცხვის" პროგრამაზე „გაცნობითი პრაქტიკის" მოდულის უზრუნველსაყოფად მითითებულ ორ სხვადასხვა ორგანიზაციაში:

1. შპს „პროფესიონალი", რომელიც ბაზარზე ფუნქციონირებს 2012 წლიდან, იყენებენ ძირითადად Oris Accounting-ის და ასევე Info-ბუღალტერიის პროგრამებს. ორგანიზაციას ამჟამად ჰყავს 6 თანამშრომელი, რომელთა ნაწილი მუშაობს დისტანციურად, ნაწილი დროდადრო იმყოფება ობიექტზე. კომპანიას აქვს სწავლების გამოცდილება (ახორციელებდა „პრაქტიკული ბუღალტერიის კურსს") და განიცდის სტაჟირების მსურველთა რეალურ საჭიროებას, რისთვისაც გააჩნია შემდგომი დასაქმების შესაძლებლობა (შესაბამის კომპანიებთან დაკავშირების გზით). კომპანიის დირექტორი, რომელიც ამავდროულად ახორციელებს „აუდიტის საფუძვლების" მოდულს, აღნიშნავს, რომ კომპანიას აქვს გაცნობითი პრაქტიკით ერთდროულად 5 პროფესიული სტუდენტის უზრუნველყოფის შესაძლებლობა, მათთვის რეალური დაკვეთის იმიტაციური სამუშაოს მიცემის და შესრულების შემოწმების გზით, ასევე სტუდენტებს ექნებათ პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების დამუშავების პროცესში პრაქტიკული საქმიანობით მონაწილეობის მიღების საშუალება.

2. ასევე ექსპერტები იმყოფებოდნენ 10 წლიანი გამოცდილების მქონე სამშენებლო კომპანია შპს „როიალ ბილდინგ ჯორჯია"-ში, სადაც შეხვდნენ კომპანიის დირექტორს, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელს. თუმცა მასთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა მისი ნაკლები ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში, რომელშიც, მისივე განმარტებით, მონაწილეობდა 3 პირი. მან აღნიშნა, რომ კომპანიაში 3 ბუღალტერია დასაქმებული, რომელნიც შეძლებენ ერთდროულად 10 სტუდენტის მიღებას და მათთვის კვალიფიციური კონსულტაციების გაწევას. ამავე პირის მიერ ექსპერტებს მიეწოდათ ინფორმაცია მესამე კომპანიის შესახებ - შპს „როიალ ბილდინგ გრუპ", სადაც მუშაობს 5 ბუღალტერი და მზადაა მიიღოს სტუდენტები „გაცნობითი პრაქტიკის" მოდულის განსახორციელებლად. ექსპერტების მოსაზრებით, მონახულებული კომპანიები იძლევიან „გაცნობითი პრაქტიკის" განხორციელების საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

პროგრამა	პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებელი ორგანიზაცია	მისამართი	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი და მოქმედების ვადა
ფარმაცევტის თანაშემწე	შპს „ნეოფარმი+“	ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ	14.12.2017 2 წელი
	შპს „მთაწმინდა 26“	ქ. თბილისი, ფურცელაძის 22	21.12.2017 2 წელი
ბუღალტრული აღრიცხვა	შპს „როიალ ბილდინგ გრუპ“	ქ. თბილისი, ბელიაშვილის N73	14.12.2017 2 წელი
	შპს „როიალ ბილდინგ ჯორჯია“	ქ. თბილისი, გოთუას N10-12	21.12.17 2 წელი
	შპს „პროფესიონალი“	ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 17	20.12.2017 2 წელი

პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული მემორანდუმები (სულ 5) იდენტურია ორივე პროგრამაზე, რომლის საგანს წარმოადგენს კოლეჯისა და ორგანიზაციის თანამშრომლობა კონკრეტულად „ფარმაცევტის თანაშემწისა“ (სულ 2) და „ბუღალტრული აღრიცხვის“ (სულ 3) პროგრამების სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის, სტაჟირებისა და დასაქმების ხელშეწყობის საკითხებში. თუმცა ტერმინი „სტაჟირება“ ორივე პროგრამისთვის უცხოა, ხოლო „საწარმოო პრაქტიკის“ მოდული არ აქვს „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული ტერმინი ზოგადი ხასიათისაა და სტუდენტების შემდგომი დასაქმების შესაძლებლობას ასახავს.

„ფარმაცევტის თანაშემწის“ პროგრამაში მითითებულ პარტნიორ ორგანიზაციასთან - შპს „ნეოფარმი+“, გაფორმებული მემორანდუმი თარიღდება 2017 წლის 14 დეკემბრით. ცენტრში წარმოდგენილ დოკუმენტებში ასევე ნაჩვენებია 2017 წლის 21 დეკემბერს შპს „მთაწმინდა 26“-თან გაფორმებული მემორანდუმი (აღნიშნული მემორანდუმი არ არის ნაჩვენები პროგრამაში). „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამაში მითითებულია პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციები: შპს „როიალ ბილდინგ გრუპ“, რომელთანაც მემორანდუმი გაფორმებულია 2017 წლის 14 დეკემბერს და შპს „როიალ ბილდინგ ჯორჯია“, რომლის მემორანდუმიც დათარიღებულია 2017 წლის 21 დეკემბრით. ცენტრში წარმოდგენილ დოკუმენტებში ასევე ნაჩვენებია 2017 წლის 20 დეკემბერს შპს „პროფესიონალ“-თან გაფორმებული მემორანდუმი (აღნიშნული მემორანდუმი არ არის ნაჩვენები პროგრამაში). პროგრამის დამტკიცების თარიღი: 07.12.17. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის განმარტებით, პროგრამების დამტკიცების ეტაპზე კოლეჯს ჰქონდა წერილობითი შეთანხმება ყველა ზემოთხსენებულ ორგანიზაციებთან, ხოლო მოგვიანებით გაფორმებულია მემორანდუმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

პროგრამების შესწავლის შედეგად აღმოჩენილი საერთო ტექნიკური უზუსტობები

- დებულების მე-16 მუხლის 16.2 პუნქტის თანახმად, კოლეჯში სწავლების ხანგრძლივობა განისაზღვრება პროგრამით. ორივე პროგრამაში „ფარმაცევტის თანაშემწის“ პროგრამის IX, ხოლო „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის მე-7 ნაწილში პროგრამის ხანგრძლივობად მითითებულია კრედიტების რაოდენობა, რაც რეალურად წარმოადგენს პროგრამის მოცულობას და არა ხანგრძლივობას. თუმცა პროგრამის დანართებიდან სასწავლო გეგმაში შესაძლებელია ხანგრძლივობის გამოთვლა კვირების რაოდენობის მიხედვით. გარდა ამისა, დაინტერესებული პირს პროგრამის ხანგრძლივობის შესახებ (თვეების მიხედვით) ინფორმაცია შეუძლია იხილოს პროგრამების კატალოგში.
- დებულების მე-19 მუხლის 19.3 პუნქტის მიხედვით, პროგრამაზე დაიტანება დირექტორისა და პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერები, თუმცა დოკუმენტების დედნის შემოწმებისას მხოლოდ დირექტორის ხელმოწერა ფიქსირდება.
- 2017 წლის 14 დეკემბრის N24 ბრძანების N1 და N2 დანართებით განმეორებით დამტკიცებულია წარმოდგენილი პროგრამების სასწავლო გეგმები. დაწესებულების ხარისხის მენეჯერის განმარტებით, აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკური ხასიათის შეცდომას და მოხსენებული ბრძანების სასწავლო გეგმები 2017 წლის 7 დეკემბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამების დანართის სასწავლო გეგმების იდენტურია.
- პრაქტიკის მემორანდუმის დასკვნითი დებულებების მე-7 მუხლის 7.1 პუნქტი ამბობს: „წინამდებარე მემორანდუმის ყველა ცვლილება და დამატება ნამდვილია იმ შემთხვევაში თუ ის შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ“. ზემოაღნიშნულ დანართზე არცერთი მხარის ხელმოწერა არ ფიქსირდება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული დანართები შეთანხმებულია მხარეებთან (დასკვნის დანართი 2).
- ორივე პროგრამის „სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭების“ ნაწილში „შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში” ჩარჩენილია სიტყვები „რეკომენდაციის სახით“.
- თვითშეფასების კითხვარის 1.1 ქვესტანდარტში მოცემულ ცხრილის მეოთხე სვეტში გამორჩენილია კვალიფიკაციის/სპეციალიზაციის კოდი. თუმცა ზუსტი ინფორმაცია მოცემულია ამავე კითხვარის 2.1 და 2.2 დანართებში.
- დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 7 დეკემბრის N12 ბრძანება ამბობს: „დამტკიცდეს პროგრამები და მოდულები დანართის შესაბამისად“, წარმოდგენილ პროგრამებს აქვთ სატიტულო გვერდი, სადაც მითითებულია დამტკიცების აქტის რეკვიზიტები, თუმცა არ არის ნაჩვენები, რომ დოკუმენტი წარმოადგენს მოხსენიებული ბრძანების დანართს/დანართებს.
- ორივე პროგრამის დანართების (მოდულები, სასწავლო გეგმები და განმახორციელებელი პერსონალი) სატიტულო გვერდი მოიცავს ინფორმაციას თუ რომელი პროგრამის დანართს წარმოადგენს დოკუმენტი, რაც შეესაბამება პროგრამაში ჩამოთვლილი დანართების რიგით ნომრებს, თუმცა არ არის ნაჩვენები პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები, ხოლო „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამაში „მატერიალური ექსელის ბაზად” მოხსენიებულ დანართ N3-ში არ ჩანს პროგრამის დასახლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

„ფარმაცევტის თანაშემწე“

„ფარმაცევტის თანაშემწის“ პროგრამის II ნაწილში მითითებული სარეგისტრაციო ნომერი წარმოდგენს იმ ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერს, რომლის საფუძველზეც არის შემუშავებული აღნიშნული პროგრამა. შესაბამისად, ამ ნაწილში დაწესებულების მიერ გაკეთებული ჩანაწერი აღნიშნულ ფაქტს უნდა ასახავდეს.

ამავე პროგრამის IX ნაწილში მოდულების სტატუსის შესახებ გამოყენებულია ტერმინი „სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი“, რომელიც არ არის ამ პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სტატუსის აღმნიშვნელი ტერმინი („სავალდებულო პროფესიული“).

„მზა წამალთფორმების კლასიფიკაცია და შენახვის პირობების“, „მცირე შეფუთვებად მზაწამლისფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირების“ და „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევის“ მოდულებში საათები განაწილების სქემაში ჩარჩენილია სიტყვა „სარეკომენდაციო“, „ძირითადი ფარმაკოლოგიური ჯგუფების“ მოდულის „სწავლის შედეგის შესაბამისი სარეკომენდაციო თემატიკა და სწავლების მეთოდებში“ - სიტყვა „სარეკომენდაციო“.

სატიტულო გვერდზე „შეფუთვის სპეციალური სახების“ დასახელება ჩარჩენილია „ძირითადი ფარმაკოლოგიური ჯგუფების“ მოდულის თავფურცელზე.

„ბუღალტრული აღრიცხვა“

სასწავლო გეგმაში უცხოური ენის მოდულის დასახლების დასასრულს ფრჩხილებში მისათითებელია „ინგლისური“, როგორც დანარჩენ დოკუმენტებშია მინაწერი. ამავე და „ბიზნეს ინგლისურის“ მოდულების სასწავლო რესურსის ნაწილში ნაცვლად შერჩეული ლიტერატურისა (რომელიც ბიბლიოთეკაში განთავსებულია) ჩარჩენილია ჩანაწერი „მიეთითება ენის შესაბამისად“. ამავე „უცხოური ენის“ მოდულში ტექნიკური შეცდომის გამო ასევე მითითებულია სასწავლო ოთახი 6 (აღნიშნული ოთახი არ არსებობს).

დამტკიცებული მოდულების სატიტულო გვერდზე მოდულის სტატუსი აღნიშნულია ტერმინით „სავალდებულო“, ნაცვლად „სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივისა“.

„ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის „ინფორმაციული წიგნიერება 2“ მოდულის ბოლო გვერდზე განმახორციელებელი პირის საკონტაქტო ინფორმაციის ველში ჩანაწერი ასეთა: „ტელეფონი, მეილი“ (შესაბამისი ინფორმაციის გარეშე).

„სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნის“ მოდულის საათების განაწილების სქემაში ჩარჩენილია სიტყვა „სარეკომენდაციო“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის „საზოგადოება ცოდნის“ დებულება;
2. დირექტორის 2017 წლის 7 დეკემბრის N12 ბრძანება პროგრამების დამტკიცების შესახებ;
3. 2017 წლის 14 დეკემბერს შპს „ნეოფარმი+“-თან და ამავე წლის 21 დეკემბერს შპს „მთაწმინდა26“-თან გაფორმებული მემორანდუმები; შპს „როიალ ბილდინგ გრუპთან“ 2017 წლის 14 დეკემბერს, შპს „როიალ ბილდინგ ჯორჯიასთან“ 2017 წლის 21 დეკემბერს და დეკემბერს შპს „პროფესიონალ“-თან 2017 წლის 20 დეკემბერს გაფორმებული მემორანდუმები;
4. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დამადასტურებელი დოკუმენტი: ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი შრომის ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

5. დირექტორის 2017 წლის 12 დეკემბრის N22 ბრძანება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ;
6. ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან;
7. ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან.

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც მოიცავს ქვესტანდარტით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო ინფორმაციას ორივე პროგრამის მიზნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

კატალოგში დამატებით ნაჩვენებია დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრული პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, სწავლების ენა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულების ჩამონათვალი სტატუსისა და კრედიტების მითითებით. კატალოგში ასევე მოცემულია სწავლების ხანგრძლივობა თვეებში.

დებულების 24-ე მუხლის თანახმად, კატალოგი მოიცავს საკონტაქტო პირის ვინაობას, თუმცა ვებ გვერდზე განთავსებულ კატალოგში მითითებულია მხოლოდ საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვებ გვერდზე განთავსებული კატალოგი;
2. ბეჭდური კატალოგი.

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები სრულად შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტებით („ბუღალტრული აღრიცხვა" – 04114-პ; „ფარმაცევტის თანაშემწე" – 09103-პ) განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2017 წლის 7 დეკემბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამები.

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მოპოვება

დაწესებულების დებულების 32-ე მუხლით რეგულირდება პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი და სტატუსის მოპოვება, რომელშიც აღწერილია ერთის მხრივ დაწესებულების მიერ მიღების გამოცხადებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები, ხოლო მეორეს მხრივ პირის მიერ სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად დასაკმაყოფილებელი მოთხოვნები.

შეჩერება

დაწესებულების დებულების 37-ე მუხლი აწესრიგებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებს (ავადმყოფობა, საზღვარგარეთ სწავლა, ფინანსური დავალიანება) და პროცედურებს, ხოლო შეჩერების და აღდგენის პირობები (არ არის გაწერილი შეჩერების მაქსიმალური ვადა) რეგულირდება დირექტორის ბრძანებით.

შეწყვეტა

დაწესებულების დებულების 38-ე მუხლი განსაზღვრავს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესს. შეწყვეტის საფუძვლებია: პროგრამის დასრულება, პირადი განცხადება, აკადემიური მოუსწრებლობა (მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგის დაუდასტურებლობა), სტატუსის შეჩერების ვადის გასვლა და კოლეჯისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება. ამ მუხლის „ე" ქვეპუნქტი სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად უშვებს „პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა და წერილობითი ფორმით სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმა", რაც გამორიცხავს წერილობითი ფორმით მოუმართაობის შემთხვევაში გარიცხვის შესაძლებლობას. შესაბამისად, უმჯობესია ჩანაწერში მიეთითოს „ან/და".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

მობილობა

დაწესებულების დებულების 39-ე მუხლით დარეგულირებულია სტუდენტის მიერ მობილობის უფლებით სარგებლობის შემთხვევები. მობილობის მსურველის მიერ წარმოსადგენი „დ“ ქვეპუნქტში მითითებული სასწავლო ბარათი დაწესებულების წარმომადგენლის მიერ განმარტებულია როგორც ე.წ. სტუდენტის ბარათი, სადაც მოიაზრება აკადემიური ცნობის ინფორმაცია სტუდენტის მოსწრების შესახებ. ზემოაღნიშნულ პუნქტებში გათვალისწინებულია არასრულწლოვანთა შემთხვევის რეგულაციები.
ამავე დებულების მე-40 მუხლით ასევე განსაზღვრულია შიდა მობილობის განხორციელების წესი.

აღიარება

დაწესებულების დებულების V თავის არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღიარების წესს, რომლითაც განსაზღვრულია აღიარების პრინციპები, პირობები და წესი. აღიარება ხორციელდება პირის მიერ იმ პროფესიული პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტები ან მიღწეული სწავლის შედეგები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2017 წლის 6 დეკემბრის N11 ბრძანებით დამტკიცებული დებულება.

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დებულების 22-ე მუხლით დაშვებულია საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლისა და გაუქმების რიგი შესაძლებლობები, რის შემთხვევაშიც ამავე დებულების 23-ე მუხლით დარეგულირებულია კოლეჯის მიერ პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის ვალდებულებები, რომელთა შორისაა ამავე ან სხვა კოლეჯში იგივე ან სხვა პროგრამაზე გადასვლა და გადასვლისათვის საჭირო პროცედურების წარმართვა.
აღნიშნული გარემოებების დადგომის შემთხვევაში არ არის მითითებული პროფესიული სტუდენტისათვის განსხვავებული მომსახურების გაწევისთვის საფასურის ოდენობის შემცირების ან მომატების საკითხები. დებულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი აცხადებს, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისთვის შეუცვლელ სწავლის საფასურს სწავლის საფეხურის ხანგრძლივობის განმავლობაში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სტუდენტის მიერ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობით სარგებლობის შემთხვევაში, მას (წინასწარ) გადახდილი სწავლის საფასური უკან დაუბრუნდება.

დებულების მე-5 მუხლის თანახმად, კოლეჯის ერთ-ერთი მთავარი მიზანია "ე) ითანამშრომლოს საქართველოს სხვა პროფესიულ კოლეჯებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან", რაც დასტურდება გაფორმებული მემორანდუმებით (დასკვნის დანართი 3). 23-ე მუხლის 23.9 პუნქტი გულისხმობს სტუდენტის მიერ აღნიშნული მემორანდუმების პირობებით სარგებლობას კოლეჯში სწავლების შეწყვეტის შემთხვევაში. ასევე ცენტრში წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარის შესაბამისი ქვესტანდარტის (1.5) დაკმაყოფილების დადასტურების ნაწილში მითითებულია დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ცენტრში წარმოდგენილ დოკუმენტებს შორის არ იძებნება მემორანდუმი/შეთანხმება, თუმცა ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლის მიერ ექსპერტებისთვის მატერიალური სახით წარდგენილ იქნა 2 წლის ვადით გაფორმებული შეთანხმება ორ სხვადასხვა დაწესებულებასთან (დათარიღებულია 2017 წლის 8 და 11 დეკემბრით და გულისხმობს იმავე ვადით და პირობებით გაგრძელებას მხარეების მხრიდან ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე შეწყვეტის შესახებ განუცხადებლობის შემთხვევაში). მემორანდუმები იდენტური ხასიათისაა, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, შეთანხმება სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისთან" ნავარაუდევია „ბუღალტერის" V საფეხურის, ხოლო შპს კოლეჯი „მესამე სამედიცინოსთან" „ფარმაცევტის თანაშემწის" IV საფეხურის პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული მოსაზრება გადამოწმდა და დადასტურდა დაწესებულებების წარმომადგენელთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2017 წლის 6 დეკემბრის N11 ბრძანებით დამტკიცებული დებულება;
2. შპს კოლეჯი „მესამე სამედიცინოსთან" 2017 წლის 11 დეკემბრის მემორანდუმი, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისთან" 2017 წლის 8 დეკემბრის მემორანდუმი.

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დებულების მე-4 მუხლით „მისიის რეალიზების ხერხების შესახებ" განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად 4.3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით დაწესებულება მიმართვას პროგრამების პერიოდულ შეფასებას, ხოლო მე-20 მუხლით განსაზღვრულია პროგრამების შეფასების მიზნები და პრინციპები, რომელიც გულისხმობს პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტების (მატერიალური რესურსები, ადამიანური რესურსები, პროგრამების შინაარსი), განხორციელებაში ჩართული პირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

მოლოდინებისა და კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შეფასებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის განხორციელების საშუალებად დაწესებულება იყენებს შემუშავებულ კითხვარებს/ანკეტებს, რომელიც მოცემულია ცენტრში წარმოდგენილ დოკუმენტში სახელწოდებით „(დანართი 1) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“, მატერიალური სახით ვიზიტის დროს ნანახი იქნა ასევე აღნიშნული დანართის დამტკიცების აქტი: ბრძანება N14 – 08.12.17

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2017 წლის 6 დეკემბრის N11 ბრძანებით დამტკიცებული დებულება;
2. დირექტორის 2017 წლის 8 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“ შესაბამისი კითხვარები.

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის „საზოგადოება ცოდნის“ გამგეობის 2017 წლის 6 დეკემბრის N26 სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, აღნიშნული დაწესებულების საკუთრებაში არსებული ფართობიდან (931,4 კვ.მ) საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით საზოგადოებრივი კოლეჯისთვის 489 კვ.მ-ის გამიჯვნის შესახებ.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისი, მ. კოსტავას 47/57	489

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის „საზოგადოება ცოდნის“ გამგეობის 2017 წლის 6 დეკემბრის N26 სხდომის ოქმი;
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ექსპერტების მიერ მოხდა ორივე პროგრამის მოდულებში მითითებული ყველა აუდიტორიის ვიზუალური დათვალიერება - N1, 2, 3, 4 და 5 მოდულებში ჩამოთვლილი ინვენტარის, ტექნიკური მოწყობილობების მონაცემებისა და რაოდენობის ადგილზე შემოწმების მიზნით:

სასწავლო ოთახის N	სასწავლო გარემოს ტიპი	პროგრამა		ინვენტარის/აღჭურვილობის მიხედვით სტუდენტების რაოდენობა
		ფარმაცევტის თანაშემწე	ბუღალტრული აღრიცხვა	
1	A	√	√	12
2	B/C	√	√	12
3	A	√	√	12
4	C	√		10
5	C	√		10

„ფარმაცევტის თანაშემწის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან კოლეჯის ბაზაზე განსახორციელებელი მოდულებისთვის მითითებული სასწავლო ოთახები, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისთვის უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობითა და ინვენტარით, რომელთა რაოდენობა იძლევა სასწავლო პროცესის სრულყოფილად და შეუფერხებლად წარმართვის შესაძლებლობას ერთჯერადად მისაღები სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, აკადემიური ჯგუფების ორ ცვლაში გადანაწილების შემთხვევაში.
აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში B გარემოს სახით მხოლოდ ერთი N2 სასწავლო ოთახია, რომელსაც „ფარმაცევტის თანაშემწის“ პროგრამის სტუდენტები იყენებენ მხოლოდ სწავლის დაწყებიდან 12 კვირის განმავლობაში, დანარჩენი პერიოდი კი „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის 9 სხვადასხვა მოდულისთვისაა გათვლილი. აღნიშნული ოთახი აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, პროექტორით და პრინტერით.
„ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის განხორციელება „გაცნობითი პრაქტიკის“ მოდულის გარდა სრულად დაგეგმილია დაწესებულების პირობებში.
„ფარმაცევტის თანაშემწის“ პროგრამის 7 სხვადასხვა მოდულის ნაწილი 3-ის ჩანაწერებით გარკვეული სწავლის შედეგების მისაღწევად, ხოლო საწარმოო პრაქტიკის მოდულის სრულად განსახორციელებლად მითითებულია პარტნიორი ორგანიზაციის მისამართი და გათვალისწინებულია მათ ბაზაზე არსებული აღჭურვილობა და მასალა, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია შესაბამისი მემორანდუმის დანართში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების შენობაში განთავსებული შესაბამისი აუდიტორიების ვიზუალური დათვალიერება;
2. შესაბამისი აღჭურვილობის შესყიდვის ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების და ჩუქების აქტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას უწყვეტად მიეწოდება ელექტროენერგია, ყველა აუდიტორიას აქვს ბუნებრივი განათება (გარდა N4 სასწავლო ოთახისა, რომელიც ნათდება შემინული აივნის გავლით). კოლეჯში არსებობს ცენტრალური გათბობის სისტემა. 5 სასწავლო ოთახიდან ერთში (N5) დამონტაჟებულია კონდიცირების სისტემა.

დაწესებულების მეორე სართულზე არსებული საპირფარეშოების 7 წერტილიდან ყველა მოწესრიგებულია (დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები): ორი 2-ადგილიანი (ქალებისა და მამაკაცებისთვის ცალ-ცალკე) და ორი ცალ-ცალე, ერთი ადაპტირებული შშმ პირთათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. წყლის (დასუფთავების), გაზის და დენის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები;
2. ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დირექტორის 2017 წლის 11 დეკემბრის N19 ბრძანებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკის მუშაობის წესი" (ვებ გვერდზე განთავსებული დანომრილია N17-ით). დაწესებულების საბიბლიოთეკო სივრცეში არსებობს წიგნადი ფონდის მატერიალური კატალოგი და ასევე ფუნქციონირებს ბიბლიოთეკის სისტემის ელექტრონული კატალოგი (OpenBiblio). ბიბლიოთეკის მუშაობის წესი გამოკრულია ბიბლიოთეკის სამკითხველო ოთახის შესასვლელ კედელზე, ხოლო მისით სარგებლობის წესი უშუალოდ ოთახში (ბეჭდით და ხელმოწერით), რომელიც აღჭურვილია საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული ბეჭდური სახელმძღვანელოებით და შეუძლია ერთდროულად 10 პროფესიული სტუდენტის მიღება. ელექტრონული ფორმით არსებული მასალა დატანილია ელექტრონულ მატარებლებზე (დისკებზე),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2018

რომელიც აღრიცხული და დანომრილია. ექსპერტების მიერ, შერჩევის წესით, შემოწმდა და დადასტურდა ორივე პროგრამის სხვადასხვა მოდულით გათვალისწინებული ლიტერატურის არსებობა.
ბიბლიოთეკართან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ასლგადამღები მოწყობილობით მომსახურეობას. მისივე განმარტებით, ბიბლიოთეკაში მხოლოდ ერთი კომპიუტერის არსებობის მიუხედავად საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სტუდენტების მიერ მისით სარგებლობა, ასევე პერსონალი უშვებს სტუდენტების მიერ N2 სასწავლო ოთახით, როგორც ელექტრონული ბიბლიოთეკით, სარგებლობის შესაძლებლობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ბიბლიოთეკის მუშაობის წესი;
2. ბიბლიოთეკის ბეჭდური კატალოგი;
3. ვებ გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგი;
4. შესყიდვის დოკუმენტები;
5. ვიზუალური დათვალიერება;
6. პერსონალთან გასაუბრება.

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
პერსონალური კომპიუტერებით უზრუნველყოფილია სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები (ადმინისტრაციისთვის სულ 4 პერსონალური კომპიუტერი) დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რამდენიმე თანამშრომელი იყენებს მისივე პორტატულ კომპიუტერს. დაწესებულება არ იყენებს კორესპონდენციის ელექტრონული წარმოების რაიმე საშუალებას, თუმცა მიმართეს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას დოკუმენტბრუნვის სისტემით - e-flow სარგებლობის შესახებ, სატელეფონო საუბარის შედეგად, მისი გამოყენების აუცილებლობა არ იქნა დადასტურებული. კოლეჯი ასევე არ აწარმოებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს (evet.emis.ge), რომელზე წვდომის თხოვნით კოლეჯმა ორგზის უპასუხოდ მიმართა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (N01/11 - 25.04.2017; N01/6 - 06.02.2018).
თვითშეფასების შევსებული კითხვარის შესაბამისი ქვესტანდარტის (2.4) ნაწილის გაუმართავი წინადადება, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ტექნიკური ხასიათის შეცდომაა.

დაწესებულებას აქვს მოწყობილი უკაბელო შიდა ქსელი და უზრუნველყოფილია უწყვეტი ინტერნეტკავშირით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვიზუალური დათვალიერება;
2. „სილქნეტის“ გადახდის ქვითარი;
3. დომეინის და ჰოსტინგის ფლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულება;
4. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისადმი მიწერილი წერილები.

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დირექტორის 2017 წლის 11 დეკემბრის N20 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს საქმისწარმოების მიზნებსა და ამოცანებს, აწესრიგებს კორესპონდენციის წარმოების პროცედურებს და აღწერს საქმისწარმოების მენეჯერის უფლება-მოვალეობებს და ვალდებულებებს.
მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ დირექტორი დანიშნულია გამგეობის მიერ, წინა გამოცდილებით (წარმომადგენლის განმარტებით), დირექტორის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთან.
მოწვეულ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ორივე პირი ვიზიტის მომენტისთვის ინახება კოლეჯში.
საქმისწარმოების მე-4 მუხლის პუნქტები არათანმიმდევრულია (4.1 - ა, გ, დ; 4.2 - ა, დ).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2017 წლის 11 დეკემბრის N20 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი;
2. ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალები.

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
საევაკუაციო გეგმა გამოკრულია დაწესებულების დერეფნებში და განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.
შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია პირველადი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი, საჭირო კომპეტენციის მქონე (დასტურდება მედდა, ლაბორანტის პირადი საქმით) პირი შესაბამისი ფუნქციებით. პირველადი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო ინვენტარი, მედიკამენტები და სამედიცინო ტახტი განთავსებულია სამედიცინო დახმარების ოთახში.
წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებულია ხელშეკრულება დარაჯის პოზიციაზე დანიშნულ პირთან, რომელსაც განსაზღვრული აქვს შესაბამისი ფუნქციები. ამავე მიზნით შენობაში დამონტაჟებულია ვიდეოსათვალთვალო სისტემა (მონიტორინგისთვის გამოყოფილი კომპიუტერი განთავსებულია სამედიცინო ოთახში), რომლის გამართულად მუშაობის უზურნველყოფა ევალება ამავე პირს.
უსაფრთხოების მიზნით შენობაში დამონტაჟებულია დასაშვებ ზღვარზე მეტი კვამლის დაფიქსირების შემთხვევაში სირენის ტიპის რეაგირების მქონე ღილაკი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის ფლობის და მუშა მდგომარეობაში ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტები;
2. პირველადი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირის პირადი საქმე (კვალიფიკაცია და ხელშეკრულება);
3. წესრიგზე პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება;
4. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულების შენობა ადაპტირებულია შშმ პირთა საჭიროებების მიმართ: შენობაში შესასვლელი მთავარი და საევაკუაციო კიბე უზრუნველყოფილია პანდუსით, არსებობს ადაპტირებული სველი წერტილი, რომელიც განთავსებულია შემინულ აივანზე და მასთან წვდომა შესაძლებელია თავისუფალი ოთახის გავლით.
დირექტორის 2018 წლის 8 იანვრის N2 ბრძანებით საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელსა და მედდა, ლაბორანტს დაევალათ შშმ სტუდენტებისთვის დახმარების გაწევა ბიბლიოთეკით სარგებლობასა და მცირე სამედიცინო და სხვა საჭიროების შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვიზუალური დათვალიერება;
2. დირექტორის 2018 წლის 8 იანვრის N2 ბრძანება.

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტების მიერ დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტების მიღების დღიდან (19.02.18) დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია განცხადება მისი რეკონსტრუქციის შესახებ და იძებნება მხოლოდ არსებითი ინფორმაცია:

- **მთავარი** გვერდი და **ახალი ამბების** ბლოკი მოიცავს ერთგვაროვან ინფორმაციას მხოლოდ შრომის ბაზრის კვლევის შესახებ, რომლის მიხედვითაც დაწესებულება გეგმავს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას;
- **პროფესიული განათლების** ბლოკში განთავსებულია წარმოდგენილი პროგრამები (დანართების გარეშე), პროგრამების კატალოგი, კოლეჯის დებულება და მასწავლებლების სახელები და გვარები პროგრამების მიხედვით;
- **ბიბლიოთეკის** ბლოკში მოცემულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკის კატალოგის ბმული, რომელითაც შესაძლებელია (ავტორის, სათაურის, თემატიკის მიხედვით) ლიტერატურის მოძიება;
- **ჩვენს შესახებ** განყოფილებაში მოცემულია: „საზოგადოება ცოდნის" ისტორია, დირექტორის მიმართვა, დაწესებულების მისია და იურიდიული დოკუმენტაციის სახელით განთავსებულია კოლეჯის დებულება და სტრუქტურა.
- ვებ გვერდზე **დაგვიკავშირდით** ბლოკის სახით განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია - მისამართი და ტელეფონი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სახელწოდების მითითებით, რომელიც კოლეჯის სტრუქტურასა და დებულებაში არ იძებნება.

გარდა ზემოთ მოცემული ბლოკებისა, ვებ გვერდს აქვს ბლოკი **ფოტოგალერეა** და **დასაქმება,** სადაც არ იძებნება ინფორმაცია.

რაც შეეხება ვებ გვერდის ინგლისურენოვან ვერსიას, განთავსებული ინფორმაციის ნაწილი ნათარგმნია. ვებ გვერდზე მოცემულია შემდეგი ბმულები - mes.gov.ge; eqe.ge; naec.ge; emis.ge. ასევე მისი საკომუნიკაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

ფუნქციის თვალსაზრისით ვებ გვერდიდან შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წერილის გაგზავნა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვებ გვერდი: tsodna.edu.ge

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დებულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, 2017 წლის 8 დეკემბრის სამუშაო ჯგუფის სხდომის N1 ოქმით დაწესებულების სტრუქტურირებულ SWOT ანალიზზე დაყრდნობით, დირექტორის 2017 წლის 8 დეკემბრის N16 ბრძანებით დამტკიცებულია დაწესებულების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა, რომელიც შესაბამისობაშია მისიასთან და მასში გათვალისწინებულია პროგრამების დამატება და მათი განვითარება, მათ განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა; პროგრამის განმახორციელებელთა საჭიროებების კვლევა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება და შეფასება; ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის გაუმჯობესება; სოციალური პარტნიორების ქსელის გაზრდა; ვებ გვერდის განახლება და სხვა.

დირექტორის 2017 წლის 8 დეკემბრის N17 ბრძანებით დამტკიცებულია დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც თვეების მიხედვით გადანაწილებულია გრძელვადიანი გეგმის თანახმად 2018 წელს განსახორციელებელი საქმიანობები პასუხისმგებელი პირების და შესრულების ინდიკატორის მითითებით. სამოქმედო გეგმის განხილვისას იკვეთება კოლეჯის 2018 წლის საშემოდგომო მიღებისთვის მზადება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2017 წლის 8 დეკემბრის N16 ბრძანებით დამტკიცებული გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა;
2. დირექტორის 2017 წლის 8 დეკემბრის N17 ბრძანებით დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2018

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დებულების „კოლეჯის სტრუქტურის" შესახებ მე-9 მუხლის 9.2 პუნქტის თანახმად, დირექტორის ბრძანებით მტკიცდება სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობები, რომელიც გათვალისწინებულია დადებულ ხელშეკრულებებში. დებულების თანახმად, დირექტორი ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის თანამშრომლებს. შესაბამისად, დირექტორის 2017 წლის 6 დეკემბრის N10 ბრძანებით 12 ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშნულია თანამშრომლები და განსაზღვრულია მათი მოვალეობები. თითოეული ადმინისტრაციის თანამშრომლის პირად საქმეში იძებნება ამავე ნომრით და თარიღით გაფორმებული ინდივიდუალური დანიშვნის ბრძანება, რომელიც არსებითად ხსენებული ბრძანების ამონაწერის შინაარსისაა, თუმცა დოკუმენტი არ მოიცავს ამ ფაქტის აღმნიშვნელ ჩანაწერს.

პირადი საქმის შემოწმებისას დაკავებულ თანამდებობებზე პირის კვალიფიკაციის შეუსაბამობის ფაქტი არ დაფიქსირებულა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2017 წლის 6 დეკემბრის N11 ბრძანებით დამტკიცებული დებულება;
2. 2017 წლის 6 დეკემბრის N10 ბრძანება;
3. პირადი საქმე (განცხადება, CV, დიპლომი/სერტიფიკატი/სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობა, ხელშეკრულებები).

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პირადი საქმის შემოწმებისას მოდულის განმახორციელებლების კვალიფიკაციის შეუსაბამობის ფაქტი არ დაფიქსირებულა, თუმცა მასწავლებლების აბსოლუტურ უმრავლესობასთან გასაუბრების შედეგად, ვლინდება მოდულური პროგრამების განხორციელების მიდგომების და პრინციპების (სწავლებისა და შეფასების) ცოდნის ნაკლებობა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას პროგრამის განმახორციელებელთა საჭიროებების კვლევა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება და შეფასება გათვალისწინებული აქვს როგორც გრძელვადიან ასევე ერთწლიან სამოქმედო გეგმებში.

„ფარმაცევტის თანაშემწე" – 18 სტუდენტი / 10 განმახორციელებელი;

„ბუღალტრული აღრიცხვა" – 30 სტუდენტი/ 9 განმახორციელებელი;

სულ 48 სტუდენტი / 18 (უნიკალური 15) განმახორციელებელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2017 წლის 6 დეკემბრის N11 ბრძანებით დამტკიცებული დებულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

2. პირადი საქმე (განცხადება, CV, დიპლომი/სერტიფიკატი/სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობა, ხელშეკრულებები);
3. ინტერვიურება.

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებაში დასაქმებულთა შერჩევის წესი არ არის განსაზღვრული.
დებულების მე-10 მუხლი უშვებს შემდეგი ტიპის განმახორციელებლების არსებობას: პროფესიული განათლების მასწავლებელი (მე-11 მუხლით განმარტებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვინ შეილება იყოს აღნიშნული პირი), პრაქტიკის ხელმძღვანელი (ამავე დებულების 12 მუხლის 12.1 პუნქტით განსაზღვრული 3 წლიანი გამოცდილების მქონე პირი, რომელიც ასრულებს პროგრამით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს) და პროგრამის ხელმძღვანელი (მე-13 მუხლში გაწერილია მისი მოვალეობები პროგრამების განვითარებისა და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ).

დებულების მე-13 მუხლის 13.3 პუნქტის თანახმად პროგრამის ხელმძღვანელს ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი. 2017 წლის 14 დეკემბრის N24 ბრძანებით „ფარმაცევტის თანაშემწის" პროგრამის ხელმძღვანელად დანიშნული პირი ემთხვევა დამტკიცებული პროგრამის სატიტულო გვერდზე მითითებულ პირს, ხოლო ამავე ბრძანებით განსაზღვრული „ბუღალტრული აღრიცხვის" პროგრამის ხელმძღვანელი განსხვავდება ამ პროგრამის სატიტულო გვერდზე მითითებული პირისგან. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამის სატიტულო გვერდზე მითითებული პირი, მისი კვალიფიკაციით მეტად შეესაბამება აღნიშნულ თანამდებობას და დაწესებულება სწორედ მას მოიაზრებს პროგრამის ხელმძღვანელად. გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი ბრძანებაში მითითებულ პირს მიიჩნევს ხსენებულ პოზიციაზე შესაფერისად.

მოწვეულ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება დათარიღებულია 2017 წლის 15 დეკემბრით, ძალაშია ერთი წლით და ითვალისწინებს ავტომატურ ვადის გაგრძელებას ურთიერთთანამშრომლობაზე უარის განუცხადებლობის შემთხვევაში.
2018 წლის 5 იანვრის N1 ბრძანებით „ფარმაცევტის თანაშემწის" პროგრამის განმახორციელებლად მოწვეულ იქნა ერთი მასწავლებელი, რომელიც დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დამატებით მოიაზრება „რეცეპტში მოცემული ინფორმაციის წაკითხვის" მოდულის განმახორციელებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2017 წლის 6 დეკემბრის N11 ბრძანებით დამტკიცებული დებულება;
2. პირადი საქმეები;
3. ხელშეკრულებები;
4. ინტერვიურება.

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	როფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი ტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	ტუდენტთა ვაქტობრივი რაოდენობა ისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ბუღალტრული აღრიცხვა (მოდულური)	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 020156	99	129	ქართული	ქ. თბილისი, მ. კოსტავას 47	0	30
2	ფარმაცევტის თანაშემწე (მოდულური)	მეოთხე	ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090351	95	125	ქართული	ქ. თბილისი, მ. კოსტავას 47	0	18

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

დანართი 2. პრაქტიკის მემორანდუმი;

დანართი 3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

თარიღი 02.04.18

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018